



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #41 თებერვალი-მარტი, 2015

გამოშვებაში
წაიკითხავთ

საქართველო ღია მმართველობის მხრივ რეგიონში 13
ქვეყანას შორის პირველ ადგილზეა

1 საქართველო ღია მმართველობის მხრივ რეგიონში 13 ქვეყანას შორის პირველ ადგილზეა

2 ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაციის რაოდენობა იზრდება

2 ყვარელში კიბერუსაფრთხოების ფორუმის მორიგი შეხვედრა გაიმართა

3 მაღაზიის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში

4 ევროკავშირის დამმობილების პროექტი მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთვის

4 კორბოულში მორიგი საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა





მსოფლიო სამართლის პროექტის" (World Justice Project) მიერ გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, ღია მმართველობის 2015 წლის საერთაშორისო ინდექსით საქართველომ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო მსოფლიო მასშტაბით 102 ქვეყანას შორის 29 ადგილზეა.

საქართველომ, ღია მმართველობის თვალსაზრისით, ისეთ ევროპულ ქვეყნებს გადაუსწრო როგორცაა: სლოვენია, მაკედონია, ხორვატია და საბერძნეთი.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ ყველაზე მაღალი შეფასება (0.70 - მსოფლიოში მე-16 ადგილი) მიიღო მეორე კომპონენტში-საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება და იმ ქვეყნებს შორის მოხვდა, რომელთაც ამ კატეგორიაში უმაღლესი შეფასებები აქვთ.

„მსოფლიო სამართლის პროექტის" 2015 წლის საერთაშორისო ინდექსის შემუშავებაში ჩართული იყო არაერთი ცნობილი კვლევითი ინსტიტუტი, საერთაშორისო ორგანიზაცია და ექსპერტი.

სრული ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:
<http://idfi.ge/ge/open-government-index-2015>



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge




www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი



www.tbilisi.gov.ge

ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაციის რაოდენობა იზრდება



ღია მონაცემების პორტალზე (data.gov.ge), რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ არის შემუშავებული, საჯარო დაწესებულებების მიერ გამოქვეყნებული ღია მონაცემების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება.

ღია მონაცემების პორტალი, რომელიც „ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივის“ ფარგლებში სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესაბამისად შეიქმნა, წარმოადგენს ონლაინ რესურსს, რომლის მიზანია ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ამ მონაცემების გამოყენებით ახალი ელექტრონული სერვისების შექმნის ხელშეწყობა.

ღია მონაცემების კონცეფციას განსაკუთრებული ადგილი უკავია როგორც ღია მმართველობაში, ისე ელექტრონული მთავრობის თანამედროვე მოდელებში. ღია მონაცემების კონცეფციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროდუქტს წარმოადგენს ღია მონაცემების პორტალი, რომელიც

უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებების ღია მონაცემების გამოქვეყნებას გამოთვლად და ადვილად გამოსაყენებელ ფორმატებში, რაც მოქალაქეებს, ბიზნესს, მასმედიის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამთავრობო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს შეუფერხებლად ისარგებლონ აღნიშნული მონაცემებით, ასევე მათი გამოყენებით შექმნილი სხვადასხვა აპლიკაციებითა და ელექტრონული სერვისებით.

„პორტალზე ქვეყნდება სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების ღია მონაცემები. აღნიშნული მონაცემები დაჯგუფებულია როგორც ორგანიზაციების მიხედვით, ისე თემატურად, რაც ამარტივებს ძიების პროცესს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სახის მონაცემების ადვილად ხელმისაწვდომობა და მათი ერთი ფანჯრის პრინციპით ხელახლა გამოქვეყნება ხელს უწყობს როგორც ღია მმართველობის პრინციპების დანერგვას, ისე ადგილობრივი ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებას.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე საჯარო დაწესებულებებში შეფასდა არსებული მონაცემები, მონაცემთა ცხრილები და ელექტრონული სერვისები, რომელთა გამოქვეყნებაც შესაძლებელია ღია მონაცემების პორტალზე. პორტალი ყველა საჯარო დაწესებულებას შესაძლებლობას აძლევს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით გამოაქვეყნოს ღია მონაცემები.

ყვარელში კიბერუსაფრთხოების ფორუმის მორიგი შეხვედრა გაიმართა

სააგენტოს ინიციატივითა და ორგანიზებით, იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის კომპლექსში კიბერუსაფრთხოების ფორუმის გასვლითი შეხვედრა გაიმართა. კიბერუსაფრთხოების ფორუმი, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე აერთიანებს სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს, თანამშრომლობის კარგი მაგალითია ქვეყნის კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების კიდევ უფრო მაღალი დონის მისაღწევად. ფორუმის მიზანია დროის გარკვეულ პერიოდებში დაგროვილი საკითხები აზრთა ურთერთგაცვლის რეჟიმში იქნეს განხილული.

ფორუმის მონაწილეებმა იმსჯელეს კიბერსამართლის, კიბერსივრცეში საფრთხეების იდენტიფიცირებისა და კიბერთავდაცვის ორგანიზების შესახებ და განიხილეს ამ მიმართულებით საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. ფორუმის მონაწილეებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის CERT.GOV.GE-ს მიზნების, ამოცანებისა და მიმდინარე და განხორციელებულ პროექტების შესახებ (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2)



კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ფორუმის ორგანიზაციულ სტრუქტურად გარდაქმნის საკითხს, რაც სამომავლოდ გაზრდის მის მანდატს.

„დღევანდელი გასვლითი შეხვედრის ფარგლებში ჩვენს პარტნიორებსა და კოლეგებს, ფორუმის მონაწილეებს მივაწოდეთ ინფორმაცია მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით გაწეული სამუშაოების შესახებ. დეტალურად გავაცანით როგორც ზოგადი მიმართულებები, ისე კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვადასხვა ინსტრუმენტები და ვიმსჯელებთ ამ მიმართულებით ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებზე“, - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

კიბერუსაფრთხოებს ფორუმის შეკრებას ტრადიციული ხასიათი აქვს, რაც ხელს უწყობს ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირების სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

მალაიზიის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მალაიზიის დელეგაცია ესტუმრა, რომელსაც კუალა ლუმპურის მერი **აჰმად ფეზალ ტალიბი** ხელმძღვანელობს. სააგენტოს წარმომადგენლებმა სტუმრებს დეტალურად გაცნეს საქართველოში ელექტრონული მმართველობის, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის, ელექტრონული სერვისებისა და ღია მმართველობის მიმართულებით განხორციელებული პროექტები, ასევე გაუზიარეს ის გამოცდილება, რომელიც სააგენტოს უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში აღნიშნული მიმართულებებით დაუგროვდა.

ვიზიტის ფარგლებში მალაიზიელი სტუმრები ასევე შეხვდნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრს, **თეა წულუკიანს** და თბილისის მერს, **დავით ნარმანიას**.

სხვა შეხვედრები გაიმართა საჯარო რეესტრისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოებში, იუსტიციის სახლში, სართიჭალის საზოგადოებრივ ცენტრში, თბილისის ვაგორების ეკონომიკურ ზონაში და სხვა.

„მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი სააგენტოს გამოცდილების გაზიარებით სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ინტერესდებიან. დღეს ჩვენს მალაიზიელ კოლეგებს გავაცანით სააგენტოს მუშაობის სფეროები და ყველა ის პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული სერვისების განვითარებასთან“, - განაცხადა **ირაკლი გვენეტაძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ.

მალაიზიელი სტუმრები ასევე გაეცნენ საქართველოში კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების განვითარების ტენდენციებს და ელექტრონული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების ონლაინ პლატფორმას - მოქალაქის პორტალს (MY.GOV.GE).

დელეგაციის წევრები საქართველოში 16-20 მარტს იმყოფებოდნენ.

ევროკავშირის დამმობილების პროექტი მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთვის



გატყობინებთ, რომ საქართველოში ევროკავშირის დელეგაციამ დაამტკიცა დამმობილების პროექტის „ფიში“ საქართველოში ელექტორული მმართველობის განვითარების ხელშეწყობის შესახებ. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები მიმდინარე წლის 6 აპრილის ჩათვლით. დამმობილების პროექტი სავარაუდოდ დაიწყება სექტემბერში და გაგრძელდება 18 თვის განმავლობაში. პროექტის ბენეფიციარი ორგანიზაციაა მონაცემთა გაცვლის სააგენტო. პროექტის მიზანია ელ. მმართველობაში საქართველოს საჯარო ინსტიტუტების ინსტიტუციონალური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება ტრენინგების, კონსულტაციების, სარეიტინგო სისტემებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს:

<https://webgate.ec.europa.eu/europeaid/online-services/index.cfm?do=publi.detPUB&userlanguage=en&aoref=136726>

კორბოულში მორიგი საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულში მორიგი საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა. საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება საქართველოში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ერთ-ერთი ინიციატივაა, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭრით ხორციელდება. საზოგადოებრივი ცენტრების მიზანია მოსახლეობისათვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სოფლისგანვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა. საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება აქვს სოფლიდან გაუსვლელად მიიღოს 200-ზე მეტი საჯარო და ყველაზე მოთხოვნი კერძო სერვისები. საზოგადოებრივ ცენტრში ასევე ხელმისაწვდომია შეხვედრების ოთახი, თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკა, უფასო ინტერნეტი და კომპიუტერები.



სერვისებზე წვდომის გარდა ცენტრებს ეკისრებათ მედიუმის როლი მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, სამოქალაქო სექტორს საშუალება აქვს საზოგადოებრივი ცენტრი გამოიყენონ ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის წარსამართად, მათთვის ახალისერვისების, ინიციატივების, საკანონმდებლო ცვლილებების გასაცნობად და მოსახლეობის ინფორმირებულობის ასამაღლებელი ღონისძიებების ჩასატარებლად.

კორბოულის საზოგადოებრივი ცენტრი რიგით მეოცეა. 200-ზე მეტი მომსახურების მიღება სოფლიდან გაუსვლელად უკვე შეუძლია კაჭრეთის, ყვარელწყალის/დუისის, მუხაესტატეს, გეგუთის, მეჯვრისხევის, შაშიანის, სართიჭალის, გომის, რუისის, ხევის, მანგლისის, კოდას, შორაპნის, ნიგოეთის, ჭალადიდის, ჯვარის, ფოკას, ხიდისთავისა და ნუკრიანის მოსახლეობას.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კონსულტაციების შემდეგ აზერბაიჯანის CERT-ი FIRST-ში გაწევრიანდა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლების მიერ აზერბაიჯანის CERT-ისთვის (კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი) გაწეული კონსულტაციებისა და ჩატარებული აუდიტის შემდეგ, აღნიშნული ორგანიზაცია FIRST-ის ოფიციალური წევრი გახდა. სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფმა CERT.GOV.GE-ს ჯგუფმა აზერბაიჯანში რამდენიმე ვიზიტი განახორციელა და იქაურ კოლეგებს გაუზიარა ის გამოცდილება, რომელიც CERT.GOV.GE-ს უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში დაუგროვდა.

„მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი სააგენტოს გამოცდილების გაზიარებით სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ინტერესდებიან. ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანელი კოლეგების წარმატებაში გარკვეული წვლილი ჩვენც შევიტანეთ, ძალზედ მნიშვნელოვანია. აზერბაიჯანელ კოლეგებს გავაცანით ის მეთოდები და საშუალებები, როელთა გამოყენებითაც ვახდენთ ინფორმაციულ და კიბერ ინციდენტებზე რეაგირებას და ვახორციელებთ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის სტანდარტების შექმნასა და დანერგვას.“ - განაცხადა **ირაკლი ლომიძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც CERT.GOV.GE-ს წარმომადგენლებს იწვევენ სხვადასხვა ქვეყანაში ტრენინგებისა და აუდიტის ჩატარებისა თუ გამოცდილების გაზიარების მიზნით, რაც ადასტურებს აღნიშნული ჯგუფის მაღალკვალიფიციურობასა და ეფექტიან მუშაობას.

FIRST-ი 1989 წელს დაარსდა და მას ფორუმის ფორმატი აქვს, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედ კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფებს. საქართველოსდან ფორუმის სრულყოფილი წევრია მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი CERT.GOV.GE. ფორუმის მიზანია წევრებს შორის შექმნას ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების ხელსაყრელი პლატფორმა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ინფორმაციულ და კიბერინციდენტებზე ეფექტიანად რეაგირების უზრუნველყოფისთვის.

ესტონეთის გამოცდილება: ელექტრონული არჩევნები



იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი გვენეტაძე და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ მადრაძე 12-14 თებერვალს საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ ესტონეთში, ქ. ტალინში. ვიზიტის მიზანი იყო ელექტრონული არჩევნების მიმდინარეობის პროცესის გაცნობა.

ვიზიტის ფარგლებში ასევე გაიმართა შეხვედრები ელექტრონული არჩევნების სისტემის მომზადებისა და გაშვების საკითხებთან დაკავშირებით.

ელექტრონული არჩევნების მიმდინარეობისას მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს ელექტრონულ

პირადობის მოწმობისა ან მობილური ID-ის გამოყენებით მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში ნებისმიერი პრესონალური კომპიუტერული მოწყობილობის მეშვეობით.

ხმის ელექტრონულად მიცემის პროცესი ძირითად არჩევნებამდე 10 დღით ადრე იწყება და მიმდინარეობს ერთი კვირის განმავლობაში. აღნიშნული ერთი კვირის მანძილზე მოქალაქეს შეუძლია ხმა შეუზღუდავი რაოდენობით მისცეს, ძალა კი მხოლოდ ბოლოს მიცემულ ხმას აქვს. ამასთან, მოქალაქეს საშუალება აქვს ჩვეულებრივ არჩევნებშიც მიიღოს მონაწილეობა საკუთარ საარჩევნო უბანზე. ასეთ შემთხვევაში ელექტრონულ არჩევნებში მიცემული ხმა გაუქმდება.

„შემუშავებულია სპეციალური საკანონმდებლო პაკეტი, რომელშიც როგორც პროგრამული კოდი, ისე სისტემის მოზადების პროცედურები და არჩევნების ჩატარების რეგლამენტი დეტალურად არის გაწერილი (გაგრძელება გვ. 6)

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 5)

ჩვენ ასევე ვისაუბრეთ თუ როგორ შეიძლება საქართველოში ელექტრონული არჩევნების ჩატარება და რა წინაპირობები უნდა იყოს დაკმაყოფილებული. აღინიშნა, რომ ხმის მიცემის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს ელექტრონული პირადობის მოწმობა ან მობილური ID, - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

აღნიშნული საშუალებები ესტონეთში ფართოდ გამოიყენება ყოველდღიური ცხოვრების მრავალ ასპექტში - საბანკო ოპერაციების წარმოებისას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, საგადასახადო, სოციალური ბენეფიტებისა და მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი და სენსიტიური სხვა მრავალი მომსახურების მიღების პროცესში.

CERT.GOV.GE-ს გაფრთხილება „ფეისბუქზე“ გავრცელებლი თაღლითობის შესახებ



ცნობილია, რომ [facebook.com](https://www.facebook.com) ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელია საქართველოში. სხვადასხვა მონაცემებით, საიტზე უკვე 900 000-მდე ქართველი მომხმარებელია დარეგისტრირებული.

ვებგვერდს ასევე იყენებენ ბიზნეს და სამთავრობო სტრუქტურებიც, რადგან „ფეისბუქი“ უნიკალური პლატფორმაა როგორც რეკლამირებისთვის, ისე სხვადასხვა ინფორმაციის გასავრცელებლად.

სამწუხაროდ, ამ ყველაფერს თაღლითებიც წარმატებით იყენებენ. ბოლო დროს, ალბათ, შეამჩნევდით სიახლეების ყალბი ვებგვერდების მომრავლებას, რომლებიც სიახლის გაცნობამდე მის გაზიარებას ან რეკლამის ნახვას გვთავაზობენ.

მსგავსი ვებგვერდები გამოირჩევა პროვოკაციული და დამამინტრიგებელი სათაურებით, რომელთა უმეტესობა ყალბია. დეზინფორმაციასთან ერთად ისინი ავრცელებენ ძალადობისა და 18+ შინაარსის

გვერდებზე გადასვლისას ხშირად მომხმარებელი ავტომატურად მისამართდება [facebook.com](https://www.facebook.com)-ის იდენტურ ვებგვერდზე, რომელიც ითხოვს თქვენს მომხმარებლის სახელსა და პაროლს. პაროლის შეყვანის შემდეგ ეს ინფორმაცია თაღლითის ხელში ხვდება, რომელიც მოიპოვებს წვდომას თქვენს ანგარიშზე.

მსგავსი ტიპის ვებგვერდები უმეტესად „ფეისბუქში“ არსებული ჯგუფების საშუალებით ვრცელდება, რომლებსაც თაღლითები ქმნიან და სხვადასხვა ხერხებით რაც შეიძლება ბევრ მომხმარებელს ამატებენ. მსგავსი ჯგუფების რაოდენობა სოციალურ ქსელში უკვე 300-მდეა და მათი რიცხვი იზრდება, ჯგუფების წევრთა რაოდენობა კი რამდენიმე ათასიდან 500 000-მდე აღწევს.

სამწუხაროდ, მსგავს ჯგუფებში ხვდება ათიათასობით არასრულწლოვანიც, რომელთა ფსიქიკასაც ასეთი ვებგვერდების ნახვის შემდეგ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს, რადგან ხშირად ვრცელდება ადამიანთა სიკვდილისა და დასახიჩრების შემცველი ვიდეო მასალა.

CERT.GOV.GE გაძლევთ რეკომენდაციას არ გადახვიდეთ პროვოკაციული სათაურების შემცველი და გაურკვეველი წარმომავლობის დომენური სახელების მქონე ვებგვერდებზე.

ასევე გირჩევთ გადაამოწმოთ იმ ჯგუფების სია, რომლებშიც ამჟამად ხართ გაწევრებული (გაგრძელება გვ. 7).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 6)

ამ სიის გადამოწმება შეგიძლიათ მოახდინოთ შემდეგი ზმულიდან:

<https://www.facebook.com/groups/?category=membership>

ჯგუფიდან გამოსასვლელად დააჭირეთ მისი სათაურის გასწვრივ განთავსებულ ჭანჭიკის სიმბოლოს და აირჩიეთ „ჯგუფის დატოვება“ ან „Leave Group“.

CERT.GOV.GE რამდენიმე თვეა ატარებს შესაბამის მოქმედებებს მსგავსი აქტივობების წინააღმდეგ. ჩვენ მიერ ყოველკვირეულად რამდენიმე თაღლითური ვებგვერდი იხურება. ასევე ვთანამშრომლობთ საქართველოს შინაგან საქმეთა

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ